



სსიპ კოლეჯის „აისი“ პროფესიული განათლების
მასწავლებლების კმაყოფილებისა და საჭიროებების
კვლევის ანგარიში

ს.კაჭრეთი, 2023 წელი

სარჩევი

მოკლე მიმოხილვა -----	3
1. ძირითადი მიგნებები -----	3
2.1 კვლევის მიზანი და ამოცანები -----	4
2.2 კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი -----	4
2.3 სამიზნე ჯგუფი -----	6
3. კვლევის შედეგები -----	6
3.1 კოლეჯში არსებული სამუშაო გარემო და მასწავლებლების ურთიერთობები -----	6
3.2 კოლეჯის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა -----	7
3.3 კოლეჯში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადების პროგრამა -----	8
3.4 კოლეჯში არსებული მატერიალურ-საგანმანათლებლო რესურსი და ტექნიკური ადჭურვილობა -----	10
3.5 პროფესიული განათლების მასწავლებლების საჭიროებები -----	11
დასკვნა -----	11
რეკომენდაციები -----	12

მოკლე მიმოხილვა

„სსიპ კოლეჯის „აისი“ პროფესიული განათლების მასწავლებლების კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევა“ ჩატარდა სსიპ კოლეჯის „აისი“ ხარისხის მართვის მენეჯერისა და ხარისხის მართვის სპეციალისტის მიერ 2023 წლის 1 მარტიდან 20 აპრილამდე პერიოდში. მასში მონაწილეობა მიიღო სსიპ კოლეჯის „აისი“ ოთხივე ფილიალის (გურჯაანი, ს. კაჭრეთი; დედოფლისწყარო, ს. სამრეკლო; ლაგოდეხი, ს. შრომა; ახმეტა, ს. ქვემო ალვანი) პროფესიული განათლების მასწავლებლებმა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლების კმაყოფილებისა და საჭიროებების დადგენა.

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდით, კერძოდ სტრუქტურული თვითადმინისტრირებადი ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით. კვლევა განხორციელდა სსიპ კოლეჯის „აისი“ მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით. კვლევა განხორციელდა ანონიმურად და შევსების პლატფორმად გამოყენებულია Google forms-ი. კვლევის ფარგლებში სტრუქტურული თვითადმინისტრირებადი ინტერვიუ გაეგზავნა 121 მასწავლებელს, კითხვარის შევსებაში მონაწილეობა მიიღო 72-მა პროცენტმა.

1. ძირითადი მიგნებები

კოლეჯში არსებული სამუშაო გარემო და მასწავლებლების ურთიერთობები

- კოლეჯში არსებულ სამუშაო გარემოს, მასწავლებელთა უმრავლესობა დადებითად აფასებს ორგანიზაციის შიდაკორპორაციულ კულტურას იზიარებენ მასწავლებლები და მათ შორის გამართული კომუნიკაციაა.
- კოლეჯში არსებობს პროფესიული ზრდისა და კარიერული განვითარების ობიექტური გარემო.

კოლეჯის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა

- სსიპ კოლეჯის „აისი“ ხელმძღვანელობასთან კომუნიკაციას მასწავლებელთა უმრავლესობა ძალიან ეფექტიანად თვლის. ყოველთვის აქვთ მათგან დახმარების მიღების შესაძლებლობა.
- მენეჯმენტი ყოველთვის ღიაა ქვევიდან წამოსული ინიციატივებისთვის და სათანადოთ აფასებს აქტიურ მასწავლებლებს.

კოლეჯში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადების პროგრამა

- სსიპ კოლეჯში „აისი“ მიმდინარე პროფესიულ საგანმანათლებლო და მომზადების პროგრამებს მასწავლებელთა უმრავლესობა აფასებს როგორც ძალიან კარგი.

კოლეჯში არსებული მატერიალურ-საგანმანათლებლო რესურსი და ტექნიკური აღჭურვილობა

- კოლეჯში არსებულ მატერიალურ-საგანმანათლებლო რესურსებს, ტექნიკურ აღჭურვილობას, ინტერნეტ-რესურსებს, ბიბლიოთეკას, საჭირო მასალა-წედლეულს მასწავლებელთა უმრავლესობა 10 ქულიანი სისტემით აფასებს უმაღლესი ქულით.

პროფესიული განათლების მასწავლებლების საჭიროებები

- მასწავლებლების ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად გამოიკვეთა სტუდენტთა არასრული დასწრება. ასევე პრობლემატურ საკითხად გამოიკვეთა შედეგების დადასტურებისა და შეფასების პროცესი.

2.1 კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს სსიპ კოლეჯის „აისი“ პროფესიული განათლების მასწავლებლების საჭიროებებისა და კმაყოფილების შესწავლა. აქედან გამომდინარე შემუშავდა კვლევის შემდეგი ამოცანები:

- სსიპ კოლეჯში „აისი“ არსებული სამუშაო გარემოს და მასწავლებლების ურთიერთობების შესწავლა;
- სსიპ კოლეჯის „აისი“ კოლეჯის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის შესწავლა;
- სსიპ კოლეჯის „აისი“ კოლეჯში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადების პროგრამის შესწავლა;
- სსიპ კოლეჯის „აისი“ კოლეჯში არსებული მატერიალურ-საგანმანათლებლო რესურსის და ტექნიკური აღჭურვილობის შესწავლა;
- სსიპ კოლეჯის „აისი“ პროფესიული განათლების მასწავლებლების საჭიროებების დადგენა;

2.2 კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი

კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი სტრუქტურირებული თვითადმინისტრირებადი კვლევის მეთოდი. ამ მეთოდის შერჩევა განაპირობა საკვლევი საკითხების სიმრავლემ და სტატისტიკურად სანდო ინფორმაციის შეგროვების საჭიროებამ. რაოდენობრივი კვლევის მეთოდი გვაძლევს საკვლევი აუდიტორიიდან მიღებული

ინფორმაციის განზოგადებისა და დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. ასევე აღნიშნული მეთოდი არის სანდო წყარო თავისი ანონიმურობიდან გამომდინარე და ასახავს რეალურ მონაცემებს.

კვლევის სამიზნე ჯგუფად განისაზღვრა სსიპ კოლეჯის „აისი“ ოთხივე ლოკაციის პროფესიული განათლების მასწავლებლები. კვლევა ჩატარდა ანონიმურად, Google forms-ის პლატფორმაზე სტრუქტურირებული თვითადმინისტრირებადი ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით.

პროფესიული განათლების მასწავლებლებს ელექტრონული მეილების საშუალებით დაეგზავნათ კითხვარის შესავსები ლინკი და განესაზღვრათ გარკვეული დრო მათ შესავსებად. კითხვარის თავში განსაზღვრული იყო კვლევის მიზანი და ამოცანები, ასევე შევსების ინსტრუქცია და ქულობრივი შეფასების განმარტება. კვლევის ფარგლებში კითხვარი გაეგზავნა 121 მასწავლებელს, მიღებულია 87 პასუხი.

ცხრილი N1

კვლევის მეთოდოლოგია	
მეთოდი	რაოდენობრივი კვლევა
ტექნიკა	სტრუქტურირებული თვითადმინისტრირებადი ინტერვიუ
პლატფორმა	Google forms
სამიზნე ჯგუფი	სსიპ კოლეჯის „აისი“ პროფესიული განათლების მასწავლებლები
რესპოდენტთა რაოდენობა	121 რესპოდენტი
კვლევის არეალი	სსიპ კოლეჯის „აისი“ ყველა ფილიალი
ინტერვიუს ხანგრძლივობა	10-15 წუთი

კითხვარი შედგებოდა რამდენიმე განსხვავებული საკითხის შესახებ კითხვებისგან:

- კოლეჯში არსებული სამუშაო გარემო და მასწავლებლების ურთიერთობები: შიდაკორპორატიული კულტურა, შიდაკომუნიკაცია, კონფლიქტები, გუნდური მუშაობა;
- ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა: მენეჯმენტთან დაკავშირებული კითხვები, ხელმძღვანელობასთან კომუნიკაცია, კარიერული ზრდა;
- კოლეჯში მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადების პროგრამები;
- კოლეჯში არსებული მატერიალურ-საგანმანათლებლო რესურსის და ტექნიკური აღჭურვილობის შესწავლა: სასწავლო რესურსების/სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები, სასწავლო ტექნიკური აღჭურვილობა/სასწავლო მასალები, სასწავლო

პროცესისთვის საჭირო მასალა-ნედლეული, თვალსაჩინოებები, რესურსები, სწავლების თანამედროვე მეთოდები, ტექნოლოგიები, ბიბლიოთეკა;

- პროფესიული განათლების მასწავლებლების საჭიროებები;

2.3 სამიზნე ჯგუფი

სამიზნე ჯგუფად, კვლევის სპეციფიკიდან და მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრა სსიპ კოლეჯის „აისი“ ოთხივე ფილიალის მოქმედი მასწავლებლები. კვლევის პერიოდისთვის წარმოდგენილი იყო, ოთხივე ლოკაციაზე, ჯამურად 121 მასწავლებელი, რომელიც გადანაწილებულნი არიან სსიპ კოლეჯის „აისი“ კაჭრეთის, ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს, ახმეტის ფილიალებში.

3. კვლევის შედეგები

3.1 კოლეჯში არსებული სამუშაო გარემო და მასწავლებლების ურთიერთობები

კვლევის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლებმა შეაფასეს კოლეჯში არსებული სამუშაო გარემო და ურთიერთობები. შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას რომ მასწავლებლები კმაყოფილები არიან თანამშრომლებს შორის ურთიერთობებით, სამუშაო პირობებითა და კარიერული ზრდის პერსპექტივით.


გამოკითხულთა შედეგების მიხედვით ირკვევა, რომ მასწავლებლები იზიარებენ ორგანიზაციის შიდაკორპორაციულ კულტურას. მოცემულ კითხვაზე პროცენტული განაწილება შემდეგნაირია სრულიად ვეთანხმები - 77 % და ნაწილობრივ ვეთანხმები - 14.9 %.

ორგანიზაციაში კონფლიქტების კონსტრუქციული გზით მოგვარების კითხვაზე პროცენტული განაწილება ასე გამოიყურება: სრულიად ვეთანხმები 78.2 %, ნაწილობრივ ვეთანხმები 14,9 %.

„მასწავლებლებს აქვთ პროფესიული ზრდის შესაძლებლობა“, ამ კითხვას მასწავლებელთა 80,5 % სრულიად ეთანხმება, ხოლო 14,9 % ნაწილობრივ.

გრაფიკი N1 კოლეჯში არსებული სამუშაო გარემო და მასწავლებლების ურთიერთობები.

*შენიშვნა: ცხრილში წარმოდგენილია შემდეგ პასუხებზე პროცენტული განაწილება 1- სრულიად ვეთანხმები; 2 - ნაწილობრივ ვეთანხმები.



3.2 კოლეჯის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა

კვლევის ფარგლებში კითხვები დაისვა სსიპ კოლეჯის „აისი“ ხელმძღვანელობასა და მენეჯმენტთან ურთიერთობის შესახებ. მასწავლებელთა უმრავლესობა ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას ძალიან ეფექტიანად მიიჩნევს. ასევე ყოველთვის აქვთ მათგან დახმარების მიღების შესაძლებლობა.


კითხვაზე, „ზოგადად, როგორ შეაფასებდით კომუნიკაციას ხელმძღვანელობასთან?“, მასწავლებელთა 89.7 %-მა უპასუხა, რომ „ძალიან ეფექტიანია, შესაძლებლობის ფარგლებში, ყოველთვის ღიაა ინიციატივების გასაზიარებლად, დასმულ კითხვებზე არის დროული პასუხი და ინსტრუქტაჟი“.

კითხვარის მიხედვით მასწავლებლები თვლიან, რომ კოლეჯის მენეჯმენტი ყოველთვის ღიაა ინიციატივებისათვის და სათანადოთ აფასებს მოტივირებულ მასწავლებელს. კითხვაზე „მენეჯმენტი ღიაა ქვევიდან წამოსული ინიციატივებისთვის“ პროცენტული განაწილება შემდეგია: სრულიად ვეთანხმები - 79.3 % და ნაწილობრივ ვეთანხმები 16.1 %.

კითხვების საერთო პროცენტული განაწილება იხილეთ გრაფიკ N2-ზე და გრაფიკ N3-ზე.


გრაფიკი N2 კოლეჯის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა.

***შენიშვნა:** ცხრილზე წარმოდგენილია შემდეგი პასუხების პროცენტული განაწილება: თითქმის ყოველთვის ვიღებ შესაბამის დახმარებას, ძალიან ეფექტიანია, შესაძლებლობის ფარგლებში, ყოველთვის ღია ინიციატივების გასაზიარებლად.



გრაფიკი N3 კოლეჯის მენეჯმენტთან ურთიერთობა.

***შენიშვნა:** ცხრილში წარმოდგენილია შემდეგ პასუხებზე პროცენტული განაწილება 1- სრულიად ვეთანხმები; 2 - ნაწილობრივ ვეთანხმები.



3.3 კოლეჯში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადების პროგრამა


კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ მასწავლებლები სსიპ კოლეჯის „აისი“ პროფესიულ საგანმანათლებლო და მომზადების პროგრამებს ძალიან კარგ შეფასებას აძლევენ.

მასწავლებელთა 90.3% თვლის, რომ კოლეჯში მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კარგი ან/და ძალიან კარგია, ხოლო 9.7% თვლის, რომ დამაკმაყოფილებელია.


მასწავლებელთა 90.6 % თვლის, რომ კოლეჯში მიმდინარე პროფესიული მომზადების პროგრამა კარგი ან/და ძალიან კარგია, ხოლო 9.4 % თვლის რომ დამაკმაყოფილებელია.

გრაფიკ N4-სა და N5-ზე წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადების პროგრამების პროცენტული განაწილება შემდეგი პასუხების მიხედვით: ძალიან კარგი და კარგი.

გრაფიკი N4 სსიპ კოლეჯში „აისი“ არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.



გრაფიკი N5 სსიპ კოლეჯში „აისი“ არსებული პროფესიული მომზადების პროგრამა.




3.4 კოლეჯში არსებული მატერიალურ-საგანმანათლებლო რესურსი და ტექნიკური აღჭურვილობა

ერთ-ერთი საკვლევი საკითხი ეხებოდა სსიპ კოლეჯში „აისი“ არსებულ მატერიალურ-საგანმანათლებლო რესურსებსა და ტექნიკურ აღჭურვილობას, ასევე ინტერნეტ-რესურსებს, სასწავლო მასალებს, ბიბლიოთეკით სარგებლობას, თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებას ლექციის დროს. მასწავლებელთა უმრავლესობა ადასტურებს მათ გამოყენებას ლექციის დროს და არსებულ მატერიალურ-საგანმანათლებლო რესურსებს აფასებს 10 ქულიანი შკალის მიხედვით უმაღლესი 10 ქულით.

გრაფიკზე N6 წარმოდგენილია ამ ქვეთავში არსებული ყველა კითხვის პროცენტული განაწილება.

გრაფიკი N6 კოლეჯში არსებული მატერიალურ-საგანმანათლებლო რესურსი და ტექნიკური აღჭურვილობა

*შენიშვნა: გრაფიკზე წარმოდგენილია პროცენტული განაწილება შემდეგი პასუხების მიხედვით: დიახ და ნაწილობრივ.



3.5 პროფესიული განათლების მასწავლებლების საჭიროებები

კვლევის ინტერესს წარმოადგენდა პროფესიული განათლების მასწავლებლების საჭიროებების დადგენა. აქედან გამომდინარე დაისხვა კითხვები, არსებობდა თუ არა, საგაკვეთილო პროცესში ხელის შემშლელი ფაქტორები და რა თემაზე სურთ კომენტარის დამატება. პასუხების უმრავლესობა საგაკვეთილო პროცესში ხელის შემშლელ ფაქტორად მიიჩნევს სტუდენტების ხშირ გაცდენას, მათი მხრიდან არასაპატიო მიზეზით გაცდენას. ასევე ერთ-ერთ მიზეზად დასახელდა ჩარიცხულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრება და, იშვიათ შემთხვევებში, ტექნიკური ხარვეზები (მაგ.: დენის გათიშვა, ინტერნეტის ხარვეზით მიწოდება და პრინტერის ან/და პროექტორის მწყობრიდან გამოსვლა).

მასწავლებლებს ქონდათ შესაძლებლობა, დამატებით, დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი იმის შესახებ რაც აწუხებდათ და ამაზე არ იყო კითხვა დასმული. მათი მხრიდან დაფიქსირდა შემდეგი საჭიროებები/სურვილები:

- სასურველი იქნება ასეთი ფრაზა იყოს სტუდენტებისთვის თვალსაჩინოდ: „რაც მოგეწონათ ჩვენთან - უამბეთ ყველას! რაც არ მოგეწონათ - გვითხარით ჩვენ“;
- შედეგების დადასტურებისა და შეფასების პროცესში, სასწავლო პროცესის ხელმძღვანელების დასწრების გარდა, დამატებით წარმოდგენილი იყოს ადმინისტრაციის სხვა წევრებიც. ყოველივე ეს მეტ მობილიზებას გაუწევდა და უფრო მეტ პასუხისმგებლობის გრძნობას ჩამოუყალიბებდა სტუდენტებს;
- მეთოდური გადახედვების ან მითითებების შესაძლებლობა უფრო გამოცდილი პედაგოგებისგან და/ან კომპეტენტური ადამიანებისგან, როგორც პროფესიულ საგანმანათლებლო, ისე მომზადების პროგრამაზე. სრულფასოვანი სწავლებისთვის სანიმუშო ნამუშევრებზე წვდომის შესაძლებლობა;

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ რომ, კვლევის მიზანი და ამოცანები მიღწეულია. პროფესიული განათლების მასწავლებლები, დიდწილად კმაყოფილნი არიან კოლეჯში არსებული სამუშაო გარემოთი და მასწავლებლების ურთიერთობებით, შიდაკორპორაციული კულტურით, შიდაკომუნიკაციით, კონფლიქტების კონსტრუქციული გზით მოგვარებით, გუნდური მუშაობით, ხელმძღვანელობასთან და მენეჯმენტთან ურთიერთობით, კარიერული და პროფესიული ზრდის შესაძლებლობით, კოლეჯში მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადების პროგრამებით, კოლეჯში არსებული მატერიალურ-საგანმანათლებლო რესურსით და ტექნიკური აღჭურვილობით. მათ შორის სასწავლო რესურსებით/სახელმძღვანელოებით, ინტერნეტ-რესურსებით, სასწავლო ტექნიკური აღჭურვილობით/სასწავლო მასალებით, სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალა-ნედლეულით, თვალსაჩინოებების გამოყენებით, სწავლების თანამედროვე მეთოდებით, ტექნოლოგიებით, ბიბლიოთეკით.

ასევე გამოვლინდა პროფესიული განათლების მასწავლებლების საჭიროებები, რომელთა გამოსასწორებლად სამომავლოდ, შესაბამისი სამსახურების მიერ გადადგმული ქმედითი ნაბიჯები აამაღლებს მასწავლებლების კმაყოფილებას.

რეკომენდაციები

- სტუდენტებისა და მსმენელებისათვის დაიგეგმოს სხვადასხვა სახის ღონისძიებები საგაკვეთილო დასწრების ასამაღლებლად. ესენია:
 - საჩვენებელი გაკვეთილები პროფესიების მიხედვით;
 - პროფესიების მიხედვით მინი კონკურსები;
 - თვითმართველობის დღე, სადაც სტუდენტები ჩაატარებენ მათთვის საინტერესო საგანში გაკვეთილს.
- შედეგების დადასტურებისა და შეფასების დროს, შეძლებისდაგვარად, ჩაერთოს სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობის გარდა სხვა წარმომადგენლები, მაგალითად: დირექტორი, სპეციალობის სხვა მასწავლებლები, დამსაქმებლები;
- მასწავლებელთა კარიერული და პროფესიული ზრდისთვის ჩატარდეს სხვადასხვა სახის ტრენინგები, ვორქშოპები და სემინარები;
- მასწავლებლებისთვის საგაკვეთილო პროცესში ურთიერთდასწრებისა და წარმატებული გამოცდილების გაზიარებისთვის შემუშავდეს კონკრეტული გეგმა. ოთხივე ლოკაციაზე არსებულ საერთო პროგრამებში მოეწყოს საგაკვეთილო ურთიერთდასწრება ან/და გამოცდილების გაზიარება.